F 674 N 15330

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# რუსთაველის თეატრი

რუსთაველის თეატრის სამკუთხედის
ერთდროული გაზეთი
5
აპრილი
1936
ფასი 50 კაპ.

368

## გაუმარჯოს საბჭოთა აჭარის ხუთმეტი წლის თავს!

## 5 აპრილი 1936 წ.

მრავალ საუკუნეთა მანძილზე აჭარა წარმოადგენდა დამონებულ და ჩამორჩენილ მხარეს. უნიჭიერესი ხალხი, რომელიც საქართველოს სამხრეთის სხვა ტომებთან ერთად პირველად გაიჩნდა ძველი ქართული კულტურის კერა და ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ისტორიას მისცა მხატვრული შემოქმედების გასაოცარი შედევრები, რომლითაც დღესაც სამართლიანად ვამაყობთ, მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე აზიის ბარბაროსებისა და ურიცხვ ურდოების განუწყვეტელი თარეშის გამო, თანდათან დაადგა ეკონომიური განადგურებისა და ფიზიკური გადაშენების გზას.

რომაელების, არაბების, ბიზანტიელების, მონღოლების და თურქების საქმე ღირსეულად განაგრძეს მეფის რუსეთის ავანტიურისტმა გენერლებმა, რომლებიც სისხლში აღრჩობდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ერთი მუჭა ხალხს. საუკეთესო ნაწილი აჭარის მცხოვრებლებისა, რომელთაც აღარ ედგომებოდათ მეფის რუსეთის „ხალხთა საპყრობილეში“, იძულებული შეიქნა სამუდამოდ მოშორებოდა თავის მამაპაპეულ მიწაწყალს, მონბლიურ მიდამოებს და გადასახლებულიყო თურქეთისა და მცირე აზიის უდაბურ ადგილებში.

რუსეთის თვითპყრობელობის ბატონობის მარტო პირველი სამი წლის განმავლობაში, მეფის გენერლის ვინძე სტეპანოვის მოწმობით, აჭარიდან თურქეთში მახაჯირებათ გასულა 30 ათასი მშრომელი მოსახლე. ფანატიკოს მოლებისა და ხოჯების გავლენით და რუსის მძარცველი გენერლებისა და ადმინისტრატორების პოლიტიკის წყალობით, აჭარელთა გახიზვნა არც შემდეგ პერიოდებში შეწყვეტილა. აჭარლები თანდათან გაძევნილი იქნენ თავისი ქვეყნის საუკეთესო ადგილებიდან.

მენშევიკების ბატონობის დროსაც აჭარა არა ნაკლებ სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა, ვიდრე ის იყო წინად, მეფის დროს. ეკონომიურ ჩამორჩენილობას, უკულტურობას და სიბნელეს თანდაერთო ნაციონალური შუღლი, ხელოვნურად გაჩაღებული მენშევიკურ ხელისუფალთა მიერ.

ნამდვილი აღორძინება აჭარის მხარისა იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აჭარელმა მშრომელებმა, ქართველ მშრომელთა და რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით, საბოლოოდ გაინთავისუფლეს თავი მენშევიკურ კომისრებისაგან და დაამყარეს საბჭოთა წყობილება თავის ქვეყანაში.

მას შემდეგ განვლო ხუთმეტმა წელმა. და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში აჭარა შეუჩერებლად იზრდება და ძლიერდება, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. თუ ხუთმეტი წლის წინად აჭარაში მოსახლეობის მხოლოდ სამი პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე და ისიც ბეგები და მოლები, ეხლა აჭარის სოფლებში მოსახლეობის 76 პროცენტია წერა-კითხვის მცოდნე. წინად თუ სრულიად არ იყო აჭარული ინტელიგენცია, ეხლა, საბჭოთა წყობილების პირობებში, აჭარამ წამოსწია მრავალრიცხოვანი კადრები მშრომელი ინტელიგენციისა. ამ ჟამად აჭარას ჰყავს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღზრდილი მრავალრიცხოვანი კადრები აჭარელი ექიმების, აგრონომების, ინჟინერების და მასწავლებლებისა.

მთელი რიგი სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა მოეპოვება დღეს თავისუფალ აჭარას. იზრდება საგამომცემლო საქმე, მოდიან და იზრდებიან კულტურული მუშაკები აჭარელთა კადრებიდან, სამწერლო და ხელოვნების ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა აჭარელი პოეტები, მხატვრები, მსახიობები. თეატრალური კულტურის საქმე, რომელიც აქამდის, საკუთარი თეატრის უქონლობისა და ადგილობრივი სათეატრო კადრების არ ყოლის გამო ფერხდებოდა, დღეს უკვე მკვიდრ საფუძველზეა დამდგარი. აჭარის მომავალი თეატრისათვის უკვე მომზადებულია ძირითადი კადრი ახალგაზრდა აჭარელ მსახიობებისა, რომელთაც შეუძლიათ სათავეში ჩაუდგნენ თავისი მხარის თეატრალური ხელოვნების აღმშენებლობას. ეს კადრი აღიზარდა რუსთაველის თეატრის სტუდია-სახელოსნოში, სადაც რამდენიმე წლის მანძილზე აჭარელი ახალგაზრდები თეორიულად და პრაქტიკულად ემზადებოდნენ თავისი მომავალი რთული და საპასუხისმგებლო მოღვაწეობისათვის საბჭოთა სოციალისტური ხელოვნების ასპარეზზე.

გოლდონის პიესა „სასტუმროს დიასახლისი“, რომელიც წარმოადგენს აჭარელ სტუდიელთა გამოსაცდელ სპექტაკლს, საუკეთესო მაჩვენებელი იქნება მათ მიერ თეატრის სტუდიაში მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნისა, მათი ნიჭისა და შესაძლებლობისა.

თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ არ დაიშურა არავითარი ღონისძიება თავისი ახალი კადრების საუკეთესო მომზადებისათვის. ახმეტელის დროს გამეფებულმა უხეშმა ადმინისტრირებამ და სწავლების ცრუ მეთოდებმა სტუდია-სახელოსნო დაღუპვის კარამდე მიიყვანა. მაგრამ ახალი ხელმძღვანელობის მიერ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა სტუდიის მუშაობა და უზრუნველჰყო ახალი კადრების მომზადების უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე. ამ მუშაობის შედეგს წარმოადგენს აჭარელ სტუდიელთა საჩვენებელი წარმოდგენა „სასტუმროს დიასახლისი“, რომელსაც სდგამს ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი დ. ალექსიძე.

რუსთაველის თეატრმა ეს სპექტაკლი შეუფარდა აჭარის ხუთმეტი წლის თავის ისტორიულ თარიღს. რუსთაველის თეატრი უდიდესი აღფრთოვანებით ულოცავს თავისუფალ აჭარის მშრომელ ხალხს და აჭარის ავტ. რესპ. ხელმძღვანელ ამხანაგებს სამეურნეო და კულტურულ ასპარეზზე 15 წლის განმავლობაში ენერგიული მრძოლის წლებში მოპოვებულ გამარჯვებებს.

თეატრი პირობას იძლევა კვლავაც განაგრძოს ენერგიული მუშაობა ახალი სათეატრო კადრების აღზრდაზე, კერძოთ აჭარის ახალგაზრდა არტისტული ძალების კიდევ უფრო მეტ კვალიფიცირებაზე, რომ ამით მკვიდრი საძირკველი ჩაეყაროს აჭარის ფორმით ნაციონალურსა და შინაარსით სოციალისტურ თეატრალურ ხელოვნებას.

**გაუმარჯოს საბჭოთა აჭარის 15 წლის თავს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ხალხთა ძმურ კავშირს!**

**გაუმარჯოს ხალხთა ბელადს, დიად სტალინს!**



კ. გოლდონი—„სასტუმროს დიასახლისი“. დადგმა—დ. ალექსიძის მხატვარი—ს. ქობულაძე.

## გოლდონი რუსთაველის თეატრის სცენაზე

კარლო გოლდონი მე-18 საუკუნის ცნობილი იტალიელი დრამატურგია. იტალიელნი მას უწოდებდნენ „პროტოკომიკოსს“. ამ ტიტულს ატარებდა ძველ საბერძნეთში არისტოფანე, კომედიის მამამთავარი.

მე 18 საუკუნე იტალიაში ფეოდალიზმის დაცემის ხანაა.

ამ დროს არისტოკრატია სულს ღაფავდა, ხოლო მესამე წოდება თანდათან იმაგრებდა ფეხს. კარლო გოლდონის ღირსება იმაშია, რომ ინტუიციით მან ალღო აუღო თავის დროს და ასახა იმ კლასის ყოფა ცხოვრება, რომელმაც ბოლო მოუღო ფეოდალურ წესწყობილებას. გოლდონი ხალხის ნამდვილი ტრიბუნია. თუ მანამდე მდაბიო ხალხს ანგარიშს არავინ უწევდა, გოლდონიმ პირველმა აამეტყველა ეს ხალხი, თავის პიესების გმირებად გახადა და გამოიყვანა სცენაზე.



რეჟისორი დოდო ალექსიძე.

გოლდონის კომედიები იმდენად ცოცხალი და რეალისტურია, რომ იმ დროინდელი მაყურებელი მის პიესებში ადვილად სცნობდა თავის თავს. მესამე წოდების მთელი ცხოვრება იქნა განსახიერებული გოლდონის ნაწარმოებებში, ხშირად ვენეციის ქუჩაში დედაკაცების აყალ-მაყალი და რომელიმე ქუჩური სკანდალი იწვევდა მაყურებლის ღიმილს და შენიშვნას—დახე გოლდონის სცენაა, ნამდვილი გოლდონიაო!

გოლდონი რეალისტია. მას არ სწამდა ხელოვნება ხელოვნებისათვის, როგორც მის თანამედროვე დრამატურგებს, არისტოკრატიის წარმომადგენელ კარლო გოცის და სხვებს. არც ერთ იმდროინდელ ავტორს არაა აქვს იმდენი სცენიური გამძლეობა, სიახლე, სიცოცხლე, როგორც გოლდონის კომედიებს: რამდენი მსახიობი ქალი ნატრულობს და ოცნებობს მირანდოლინას სცენაზე განსახიერებას! ვისაც კარგად ყავს შესწავლილი გოლდონი, ის უკვე იცნობს მე-18 საუკუნის იტალიის ყველა დადებით და უარყოფით მხარეებს.

რატომ ავირჩიეთ აჭარელ ახალგაზრდობის სადიპლომო წარმოდგენათ გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“?

ერთის მხრივ იმიტომ, რომ ეს ერთგვარი ცდაა კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისებისა, მეორე იმიტომ, რომ გოლდონი თავისი საინტერესო სცენიური მდგომარეობებით, შინაგანი დინამიურობით, ინტიმით, ლირიკით და უაღრესად ცოცხალ, მოძრავ პერსონაჟებით, ახალგაზრდა მსახიობის უნარიანობის და ნიჭის ყოველმხრივ გამოაშკარავების საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, გოლდონის აქვს საუკეთესო ტექსტუალური მასალა, იგი დიდი ოსტატია კლასიკური დიალოგებისა.

მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენი სპექტაკლის მიზანს შეადგენს ხაზი გაუსვათ ძირითად სოციალისტურ მომენტს—კარლო გოლდონის კომედიაში სადაც მოცემულია ორი წოდების დაპირისპირება, სადაც ნაჩვენებია ისტორიულ ასპარეზიდან ძიმავალი მარკიზები, გრაფები და „კავალრები“, რომელთაც სცვლიან უფრო ცოცხალი და ენერგიული მესამე წოდების წარმომადგენლები.

სპექტაკლის ცენტრალურ ფიგურას მირანდოლინა წარმოადგენს, პიესის ინტრიგა მის გარშემო ტრიალებს. ელეონორა დუზეს განსახიერებით მირანდოლინა ნაზი, არისტოკრატულ მანერებით აღჭურვილი ქალია. ჩვენ კი ვეცადეთ მიგვეცა მისი სახით ხალხის წიაღიდან გამოსული, ჯანსაღი, მხიარული, შრომის უნარით აღსავსე ახალგაზრდა ქალი.

ჩვენ ვეცადეთ მოგვეცა სპექტაკლი, მზიური თავისი ფორმით, ახალგაზრდული სიცოცხლით სავსე, ისეთივე მრავალფეროვანი, როგორც პიესის ავტორის სამშობლო იტალიის მომხიბლავი ბუნებაა და ისე წარმტაცი, როგორც თვით შემსრულებლები არიან, ჩვენი საბჭოთა აჭარის შვილები და რუსთაველის თეატრში აღზრდილი მომავალი თაობა.

ვსარგებლობ აქვე და მადლობას ვუცხადებ რუსთაველის თეატრის ახალ ხელმძღვანელობას მისი დირექციის სახით, თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგეს, ორდენოსან სახ. მსახიობს აკ. კავსაძეს და თეატრის სტუდიის დირექტორს, ორდენოსან მსახიობს აკაკი ხორავას რომლებმაც მე როგორც ახალგაზრდა, რეჟისორს, ყოველგვარი დახმარება გამიწიეს და შემიქმნეს საუკეთესო პირობები ქართულ სცენაზე, ჩემი პირველი დადგმის მომზადებისა და წარმატებით განხორციელებისათვის.

დ. ალექსიძე



ისკანდერ კაიკაციშვილი



იუსუფ კობალაძე



გრიგოლ კობახიძე



ხორბეგ ღლონტი



ესედ ცივაძე



ალ. სარჯველაძე

# ᲐᲭᲐᲠᲚᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

1932 წ. სეზონში აჭარას საგასტროლოდ ეწვია საქართველოს პირველი სახელმწიფო დრამა-რუსთაველის თეატრი. თეატრის შესანიშნავმა გასტროლებმა აჭარის მთავრობის წინაშე დასვა საკითხი აჭარის სახელმწიფო დრამის შექმნისა აჭარელთა კადრებიდან, რომელიც მომავალში შესძლებდა კულტურულ მომსახურეობის გაწევას აჭარის სოც. საბჭ. ავტ. რესპუბლიკისათვის.



ლ. აფხაზავა

ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის გადაჭრა წილად ხვდა რუსთაველის თეატრს;

როდესაც ისტორიული დადგენილება პრესაში გამოცხადდა, ჩვენ, ახალგაზრდა აჭარლები გამოვეხმაურეთ მთავრობის გამოძახილს და განვუცხადეთ მტკიცე სურვილი დაგვეწყო მუშაობა და მეცადინეობა ამ საქმის განსახორციელებლად. ჩვენ გვიხაროდა და კიდეც გვეშინოდა პირველი ნაბიჯის გადადგმისა, ვინაიდან აჭარელი მსახიობი მანამდე ისტორიას არ ახსოვდა და ვიცოდით, რომ ჩვენს მიერ არჩეული მიზნის მიღწევა მეტად ძნელ ამოცანას წარმოადგენდა; ენერგიული მუშაობით და აჭარის მთავრობის დახმარებით ჩვენ შევძელით ყოველგვარი სიძნელის გადალახვა, და აი დღეს ჩვენ პირველი აჭარელი მსახიობები ვართ, რომლებიც საძირკველს ვუყრით აჭარულ თეატრალურ კულტურას.

ჩვენ მტკიცედ და ენერგიულად ვიბრძვით თვითგანვითარებისა და საბჭოთა მსახიობის მაღალი ოსტატობის დაუფლებისათვის, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს მუშაობა ნაყოფს მოიტანს და ჩვენი საქმე შევა აჭარის თეატრალური ხელოვნების ისტორიაში, როგორც დაუვიწყარი ფურცელი.

რუსთაველის თეატრის სტუდია—სახელოსნოს აჭარის სექცია შესდგება 22 კაცისაგან, აქედან 4 ქალია, ამათში ერთი აჭარელი ქალი.

საქ. კომ. პარტ (ბ) ც. კ. და სახკომსაბჭოს 1935 წ. 13 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდია-სახელოსნო გარდაიქმნა და მას საფუძვლად დაედო ნამდვილი საბჭოთა სწავლების მეთოდები.

რუსთაველის თეატრის განახლებულმა ხელმძღვანელობამ გაგვიწია ყოველგვარი დახმარება. მოგვამაგრა ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი დ. ალექსიძე, რომელიც ცდილობს მოსპოს ჩვენს შეგნებაში ის მცდარი და ყალბი ხერხები, რაც ჩაგვინერგა სტუდიის ძველმა „ხელმძღვანელობამ“.



ნუცა ფხაკაძე

დ. ალექსიძე მუშაობდა ჩვენთან ცნობილ იტალიელ კომედიოგრაფ **კარლო გოლდონის** პიესის „სასტუმროს დიასახლისი“-ს განხორციელებაზე. პიესა შესრულებული იქნება ჩვენი აჭარის სექციის სტუდიელების ძალებით, ასე რომ დღეს პირველად გამოვდივართ საპასუხისმგებლო როლით სცენაზე.

ეს პირველი ცდა დასაბამი იქნება საბჭოთა აჭარაში თეატრის შექმნისა. დღეს მთელი ჩვენის არსებით, უდიდესი თავგამოდებით ვმუშაობთ სპექტაკლზე, რომ პირნათელი წარვსდგეთ საბჭოთა საზოგადოების წინაშე, ჩვენი ნამუშევარით და მადლობა გამოვუცხადოთ რუსთაველის თეატრის ახალ ხელმძღვანელობას გულთბილ და ენერგიულ მზრუნველობისათვის.

**ᲔᲡᲔᲓ ᲪᲘᲕᲐᲫᲔ**

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ.

1932 წ. სეზონში აჭარას საგასტროლოდ ესტუმრა რუსთაველის თეატრი, რომელსაც დიდი სიხარულით შეხვდენ აჭარის მშრომელთა ფართო მასები. თეატრის უდიდესმა მიღწევებმა დასვა საკითხი ადგილობრივ პარტორგანიზაციის წინაშე, რომ აჭარასაც ჰყოლოდა საკუთარი აჭარელი მსახიობები.

სთხოვეს რუსთაველის თეატრს აჭარელი კადრების მომზადება. თეატრმა დიდი ხალისით მიიღო ადგილობრივ აჭარის ხელისუფლების დავალება. რუსთაველის თეატრის სტუდიაში დაარსდა აჭარის სექცია. ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი, მაგრამ ძირითადად სექციას არაფერი გაუკეთებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენს მონაწილეობას მასიურ სცენებში. სექციამ ქოითხოვა სერიოზული მუშაობა; ამ მოთხოვნას ახმეტელის ხელმძღვანელობის დროს, სტუდიის სამხატვრო ნაწილის გამგემ და სტუდიის სამოსწავლო ნაწილის უფროსმა ლალიძემ ჩვენი სექციის გაუქმებით უპასუხა,—აჭარელი სტუდიელები მან თეატრის ფოიეშიც აღარ შეგვიშვა. მან გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც სექციის შემადგენლობა უნდა დაყოფილიყო სამ კატეგორიად: ნამდვილ წევრებად, კანდიდატებად და სექციის გარეშე მსმენელებად. ჩვენდა სასიხარულოდ, ახმეტელის მარჯვენა ხელის ლალიძის უხეშმა ადმინისტრატორობამ და უკულტურო ფარფაშმა დიდხანს ვერ გასტანა რუსთაველის თეატრში.

თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია სტუდიის აჭარელი სექციის მუშაობას და აჭარელ მსახიობთა კადრების აღზრდას. სტუდიის დირექტორად რუსთაველის თეატრის ახალი ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული იქნა ორდენოსანი არტისტი აკ. ხორავა, რომლის ენერგიული მუშაობის შედეგად მივაღწიეთ საუკეთესო გამარჯვებებს.

სექცია თავის სადიპლომო წარმოდგენად სდგამს პიესა „სასტუმროს დიასახლისს“. ჩვენი მომზადებისათვის ამ პიესის წარმოსადგენად დიდი შრომა მიუძღვის ახალგაზრდა რეჟისორს დ. ალექსიძეს, რომელმაც დაუღალავი ენერგიის წყალობით მიაღწია საუკეთესო შედეგს.



ნუნუ თეთრაძე

უნდა აღინიშნოს, რომ პიესაზე მუშაობის პროცესში რეჟისორი დ. ალექსიძე ცდილობდა ჩვენი შეგნებიდან ამოეფხვრა ყოველგვარი ნაშთი იმ ყალბი და შემცდარი მეთოდებით „სწავლებისა“, რომელსაც ადგილი ჰქონდა სტუდიაში ძველი ხელმძღვანელობის დროს.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი სადიპლომო ნამუშევარით გავამართლებთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩვენზე დამყარებულ იმედებს.

**Ს. ᲗᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔ.**

# ᲒᲣᲚᲘ ᲛᲘᲮᲐᲠᲘᲡ

ჩვენი პირველი ნაბიჯი აუცილებლად საწინდარია საბჭოთა აჭარაში თეატრის შექმნის იდეის პრაქტიკაში გამარჯვებისა. ჩვენ ვსდგამთ იტალიელ დრამატურგის **კარლო გოლდონის** პიესას, „სასტუმროს დიასახლისს“. პიესაზე მუშაობის დროს ყველა ამხანაგები ერთი იდეით და ერთი მიზნით ვსულდგმულობთ და ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენ, როგორც ახალგაზრდა კადრები, დაბადებულნი და აღზრდილნი საბჭოთა ქვეყანაში, დიდი **სტალინის** დროშის ქვეშ, უსათუოდ გავიმარჯვებთ **ლენინმა** მოგვიპოვა თავისუფლება, **სტალინმა** აგვიშენა ბედნიერი, საამური ცხოვრება, ჩვენც ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ შევქმნათ ხელოვნება, შესაფერი ამ ახალი დიადი ცხოვრებისათვის.

ამ პიესაში ვთამაშობ „გრაფის“ როლს. ჩემს გულს არასოდეს არ უძგერია ისე, როგორც ეხლა და ისეთი სიხარული არასოდეს არ განმიცდია, როგორც ამ როლზე მუშაობის დროს.

**ᲒᲠ. ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ**

# ᲩᲔᲛᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲓ ᲘᲥᲪᲐ.

სამი წლის წინად ბურუსით მოცული ოცნება, რომელშიც ვიყავ გახვეული და რომელიც სთხზავდა ჩემთვის ფანტასტიურ ბედნიერებას, დღეს სინამდვილედ იქცა და უამრავი სიხარული მომიძღვნა.

....ჯერ კიდევ ცამეტი წლისამ გავიცანი სიტყვა მსახიობი, რომლის შინაარსშიც არ ვიყავ გარკვეული. ერთად ერთი მიზანი და უსაზღვრო სურვილი არ მასვენებდა, რათა გავმხდარიყავი მსახიობი.

რუსთაველის თეატრის სტუდია-სახელოსნოში მე მიღებული ვიქენი ორდენოსან სახალხო მსახიობის აკ. ვასაძის მიერ. უკანასკნელ წელს თეატრის ახალი ხელმძღვანელობის და კერძოთ აკ. ვასაძის და აკ. ხორავას დაუღალავი მეცადინეობით, შექმნილი იქნა სათანადო პირობები იმისათვის, რომ შეკრულიყო ჩვენი კოლექტივი. დღეს კი აჭარელი ახალგაზრდობა, მომზადებული თეატრის სტუდიაში, უკვე იძლევა სპექტაკლს, რომელსაც სდგამს რეჟისორი დ. ალექსიძე.

ამხ. ალექსიძემ დიდი ენტუზიაზმით მოჰკიდა ხელი ჩვენთან მუშაობას და ჩვენც, სტუდიელები, არ ვზოგავდით ენერგიას, რათა მიგვეღწია გამარჯვებისათვის.

მოხარული ვარ, რომ სტუდიის პირველი სპექტაკლის განხორციელებაში მეც მაქვს წილი დადებული.

ჩემი როლია „რეანირა“, რომლის გაცნობის შემდეგ პირველად ვიგრძენ, თუ ვინ ყოფილა მსახიობი, რას ნიშნავს სხვის „ქურქში“ გახვევა, გავიგე, რომ ჯერ კიდევ თურმე ბევრი რამ არის საჭირო იმისათვის, რომ გავხდე მსახიობი.

კომკავშირულ სიტყვას ვაძლევ ძვირფას აღმზრდელთ, რომ არ დავზოგავ ენერგიას თვითგანვითარებისათვის და ავითვისებ საბჭოთა თეატრის პრინციპებს, რომ აჭარის თეატრის შექმნის საქმეში მეც შევიტანო ჩემი წვლილი.

**Ლ. ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ**

# ᲛᲔ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ

1933 წლის 4 ოქტომბერს მე ქ. ბათომიდან მომავლინეს ქ. ტფილისში რუსთაველის სახ. თეატრში. მე აღფრთოვანებული დავეწაფე მეცადინეობას თეატრის სტუდია-სახელოსნოში, და მზად ვიყავი მთელი ჩემი ენერგია დამეხარჯა იმ დიდ საქმისათვის, რომელიც დაგვავალა აჭარის მთავრობამ და თავის მხრივ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ.

სამი წელიწადია რაც რუსთაველის თეატრის სტუდია-სახელოსნოში ვმუშაობ და მე ამაყად შემიძლია ვსთქვა, რომ იმ ამაგს, რომელიც გასწიეს ჩვენზე ამხ. ამხ. **ა. ხორავამ** და **ა. ვასაძემ** ფუჭად და ამაოდ არ ჩაუვლია. ჩვენ კურსდამთავრებულ აჭარლებს, უბედნიერესი შემთხვევა გვეძლევა, რუსთაველის თეატრის ახალი ხელმძღვანელობის დახმარებით საბჭოთა საზოგადოებრიობას ვაჩვენოთ ცნობილი იტალიელი დრამატურგის **კ. გოლდონის** „სასტუმროს დიასახლისი“, რომელსაც ვთამაშობთ საკუთარი ძალებით.

ამ პიესას სდგამს ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი **დ. ალექსიძე**, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით საშუალება მოგვცა ჩვენი ნიჭისა და უნარის გამოვლინებისა სასცენო ასპარეზზე.

ჩვენ დღეს ვამაყობთ იმით, რომ საშუალება გვეძლევა რუსთაველის თეატრის ახალ ხელმძღვანელობას ვუჩვენოთ მის მიერ აჭარელ სექციაზე გაწეული შრომის ნაყოფი.

**ᲜᲣᲜᲣ ᲗᲔᲗᲠᲐᲫᲔ**

# კარლო გოლდონი

სახელოვანი იტალიელი დრამატურგი კარლო გოლდონი დაიბადა 1707 წ. ვენეციელ ინტელიგენტის ოჯახში. მშობლების სურვილს შეადგენდა, რომ გოლდონი იურისტი გამხდარიყო, მაგრამ ბავშვი თავიდანვე გაიტაცა თეატრმა. თოთხმეტი წლისა იგი გაიპარა სკოლიდან და მიეკედლა მოხეტიალე აქტიორების დასს. ოთხი წლის შემდეგ გოლდონი გამოვდებული იქნა სასწავლებლიდან სატირული პიესის დაწერისათვის, სადაც გამოყვანილ იყვნენ მისი მასწავლებლები. 1732 წელს გოლდონი გაჭირვებით ღებულობს დოქტორის ხარისხს და უგულოდ იწყებს ადვოკატის კარიერას.

ამავე დროს იგი ცდის თავის კალამს დრამატურგიის დარგშიაც. 1738 წ. გოლდონი სწერს თავის პირველ პიესას.

პირველ ხანებში გოლდონის, როგორც დრამატურგს, ღირსშესანიშნავი არაფერი შეუქმნია. 1748 წ. გოლდონის იწვევენ დრამატურგად მედებაკის დასში, რომელიც მუშაობდა გოლდონის მშობლიურ ქალაქ ვენეციაში. ეს ხანა, 1748—1762 წლები, ითვლება გოლდონის დრამატურგიული ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდათ. ამ დროს მან დასწერა თავისი საუკეთესო კომედიების უმეტესი ნაწილი.

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია ისეთი ნაყოფიერი მწერალი, როგორიც იყო გოლდონი. მე-17 საუკუნის დიდ ესპანელ დრამატურგების შემდეგ გოლდონის პირველი ადგილი უკავია თავის ნაწარმოებთა რიცხვით. გოლდონის კალამს ეკუთვის 155 კომედია, 18 ტრაგიკომედია, 94 საოპერო ლიბრეტო სულ 267 ნაწარმოები. ამასთანავე ერთად არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაყოფიერება გავლენას ახდენდა მისი შემოქმედების ღირსებაზე.

მოლიერის შემდეგ მსოფლიო დრამატურგიაში გოლდონი სამართლიანად ითვლება უდიდეს კომედიოგრაფად.

მისი კომედიების უმეტესი ნაწილის შინაარს შეადგენს ვენეციის ცხოვრება მე-18 საუკუნის ნახევარში, იმ დროს, როდესაც იტალიის ფეოდალური წყობა ინგრევა და ცხოვრების სარბიელს თანდათანობით იპყრობს ისტორიულად აღმავალი კლასი — მესამე წოდება.

გოლდონი თავის პიესაში გამომხატველი იყო ახალგაზრდა ბურჟუაზიული კლასის სულისკვეთებისა და პოლიტიკური იდეალების.



კარლო გოლდონი
(1707—1793)

მაგრამ მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ვენეციაში იმარჯვებს ფეოდალური რეაქცია. ბურჟუაზიის იდეოლოგი გოლდონი 1762 წელს იძულებულია წავიდეს თავის მშობლიურ ვენეციიდან. მის რეალისტურ პიესებს ვენეციის თეატრის სცენაზე სცვლის ფეოდალური რეაქციის წარმომადგენლის, დრამატურგ კარლო გოცის ფანტასტიური კომედიები.

გოლდონი მიემგზავრება პარიზში, სადაც ატარებს თავისი ცხოვრების უკანასკნელ 30 წელს. ამის შემდეგ იგი აღარ დაბრუნებულა სამშობლოში. პარიზში მან დასწერა კიდევ რამოდენიმე შესანიშნავი კომედია და თავისი სახელგანთქმული „მემუარები", რომელიც სანიმუშო ნაწარმოებს წარმოადგენს მსოფლიო მემუარულ ლიტერატურაში. ამ წიგნში მან აღწერა თავისი განვლილი მოღვაწეობა, მე-18 ს. იტალიის თეატრალური და კულტურული ცხოვრების ფონზე.

უკანასკნელი წლები თავისი სიცოცხლისა გოლდონიმ სიღატაკეში გაატარა. ლუკმა პურს იგი შოულობდა იტალიური ენის გაკვეთილებით. საფრანგეთის კონვენტმა დააფასა გოლდონის დამსახურება და დაუნიშნა მას ყოველთვიური პენსია, მაგრამ მოხუცი ვეღარ მოესწრო მის მიღებას. იგი გარდაიცვალა 1793 წ.

ი. გრიშაშვილი

# ჩემგან

„სასტუმროს დიასახლისი" პირველად მოსკოვში ვნახე (1935 წელს 6 თებერვალს), როცა რამდენიმე მწერალი გაგვიწვიეს ქართულ საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

მე ანარჩევი ბილეთი მერგო: ჩემი თანამოკალმენი უკვე წასულიყვნენ „არისტოკრატების", „ეგვიპტის ღამეების" და სხვა ახალი დადგმების სანახავად. მე კი ძველი დადგმა უნდა მენახა სამხატვრო თეატრში.

აღტაცებული დავბრუნდი თეატრიდან. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „სასტუმროს დიასახლისი" მიდიოდა და მეორეც — მსახიობთა არაჩვეულებრივი თამაში ვნახე.

იმ საღამოსვე ვაფრინე დეპეშა რუსთველის თეატრში: „სურვილი მაქვს გადავთარგმნო გოლდონის **„სასტუმროს დიასახლისი"**, რომელიც თქვენი მსახიობებისათვის ზედგამოჭრილი იქნება. ჩამოვალ ათს. მოიფიქრეთ".

პრინციპიალური მოლაპარაკების შემდეგ, სიყვარულით შევუდექი ამ პიესის თარგმნას...

დამაინტერესა გოლდონის ცხოვრებამაც და გზა და გზა მის მოღვაწეობასაც ვეცნობოდი: გოლდონი, როგორც გენიალური ამსახველი თავისი ეპოქისა, თუმცა პირადათ არ ერეოდა პოლიტიკურ საქმეებში, მაგრამ დიდ პოლიტიკურ გადატრიალებას ახდენდა. იგი გახდა მესამე წოდების ტრუბადური, საფრანგეთის რევოლუციის წინამორბედი...

ყოველი მისი ტიპი უაღრესად ადამიანურია და ცხოვრებიდან ამოგლეჯილი. მაშინდელი არისტოკრატია, რომელიც სათეატრო დარბაზში არ კადრულობდა მდაბიო ხალხთან ჯდომას, გოლდონიმ ეს მდაბიო ხალხი მთავარ მოქმედ პირებად გამოიყვანა თავის პიესებში და იმავე არისტოკრატიას აყურებინა სცენაზე.

გოლდონი ქართულ სცენაზე პირველად ივანე მაჩაბელმა შემოიყვანა. ვალერიან გუნიას ცნობით ივანე მაჩაბელის პირველი თარგმანი გოლდონის პიესა ყოფილა („როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს"). ეს პიესა დიდი წარმატებით მიდიოდა ძველ ქართულ თეატრში ვასო



მხატვარი ს. ქობულაძე

აბაშიძის და კოტე მესხის მონაწილეობით.

გოლდონი, როგორც კომედიოგრაფი, დიდი დაკვირვებული და ცნობისმოყვარე იყო: დადიოდა ბაზარ-ბაზარ, უკვირდებოდა ხალხს და ცხოვრების ყოველგვარ დეტალს პიესის მასალად იყენებდა. (ამას ნათლად მოწმობს მის ერთ პიესაში — „ჭორიკანებში" — გამოყვანილი **კავკასიელის ტიპი**, რომელიც იტალიის ქუჩებში ჩვენებური წიფლის თესლს ყიდდა").

გოლდონი ნაყოფიერი მწერალი იყო (80 წელზე მეტი იცოცხლა) და დასტოვა ორასამდე პიესა.

მის პიესებს შორის ყველაზე პოპულარული „სასტუმროს დიასახლისია". ეს

(დასასრული იხილე მე-4 გვ.)

ლევან ასათიანი

# გოლდონი ჩვენს სცენაზე

იტალიაში მოგზაურობის დროს 1786 წ. გოეტე დაესწრო გოლდონის კომედიის წარმოდგენას ვენეციის თეატრში. ამ დრო[illegible] სახელოვანი იტალიელი დრამატურგი [illegible] ხნის გადახვეწილი იყო სამშობლ[illegible] ქვეყნიდან და თავის მოხუცობის დღეებს პარიზის მარტოობაში ამთავრებდა.

გიოტემ თავის მოგზაურობის წიგნში აღტაცებით აღწერა გოლდონის პიესიდან მიღებული შთაბეჭდილებები: „დაუსრულებელი ხარხარი და მხიარული ყიჟინა მეფობდა თეატრში წარმოდგენის დაწყებიდან მის დასასრულამდე"-ო, — სწერდა იგი.

მართლაც, გოლდონი უსაყვარლესი დრამატურგი იყო იტალიაში. ასეთად დარჩა იგი დღემდე. მაგრამ მისი როლი იტალიური თეატრის ისტორიით არ შემოიფარგლება. გოლდონის, როგორც შესანიშნავ კომედიოგრაფს, საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო დრამატურგიაშიაც და მისი სახელი განუყრელად იხსენიება ისეთ უკვდავთა შორის, როგორიც იყვნენ არისტოფანე, სოფოკლე, ლოპე დე-ვეგა, შექსპირი და მოლიერი.

გოლდონი უდიდესი რეფორმატორი იყო სცენიური ხელოვნებისა, გენიალური ნოვატორი — დრამატურგი, რომელმაც რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებულ „ნიღაბების კომედიას" ბოლო მოუღო, რომ მის ნანგრევებზე აეგო ახალი პრინციპის თეატრი და ახალი სახის დრამატურგია.

რაში გამოიხატა გოლდონის ნოვატორობა?

გოლდონიმ თავის კომედიებში უკუაგდო აბსტრაქტული პერსონაჟები, ჩვეული „ნიღაბების კომედიისათვის" და მის ნაცვლად დახატა ცოცხალი, რეალური ტიპები — აღებული სოციალურ გარემოდან; გარდა ამისა, მან საბოლოოდ აღკვეთა იმპროვიზაციის მეთოდი და მის ნაცვლად აქტიორის თამაში დაუქვემდებარა დრამატურგის ტექსტსა და მის მთავარ მიზანდასახულებას.

მოლიერისაგან დამოუკიდებლად გოლდონიმ შექმნა ხასიათის კომედია, ხოლო გენიალური ფრანგი კომედიოგრაფის გაცნობის შემდეგ ოპოზიციაში ჩაუდგა მას და უარჰყო მისი მეთოდი მონოლიტური ხასიათების მოცემისა სცენაზე, ისეთის, როგორიც იყვნენ მაგალითად გარპაგონი და ტარტიუფი. გოლდონი, როგორც რეალისტი, უფრო ბუნებრივად სთვლიდა ისეთი სახეების დახატვას, რომელთა ძირითად სულიერ შინაარსს ემატებოდა კიდევ სხვა დამატებითი თვისებებიც.

გოლდონი ამით არ კმაყოფილდებოდა და მოითხოვდა, რომ კომედია აგებული ყოფილიყო არა მარტოოდენ ერთ მთავარ ხასიათზე, როგორც ეს ჰქონდა მოლიერს (ძუნწი, მიზანტროპი, დონ-ჟუანი), არამედ ეპიზოდიურ ფიგურებსაც ჰქონოდათ საშუალება გარკვეული ხასიათის გამოვლინებისა.

და მართლაც გოლდონის პიესაში ჩვენ ვხვდებით ხასიათების დიდ მრავალფეროვნებას.

აქ მოსჩანს პრინციპიალური სხვაობა ორი სამყაროს წარმომადგენლისა: მოლიერი, როგორც ვიცით, საფრანგეთის არისტოკრატიის დრამატურგი იყო, იგი სწერდა თავის შედევრებს საფრანგეთის მეფისა და პარიზის მაღალ წოდებისათვის. გოლდონი კი შვილი იყო მესამე წოდებისა, ისტორიის სარბიელზე აღმავალი ბურჟუაზიული კლასისა, რომელიც მოითხოვდა თავისი მრავალფეროვანი ცხოვრების, იდეების და სულისკვეთების მთელი სისრულით გამოვლენას ხელოვნებაში. უნდა ითქვას, რომ გოლდონიმ თავისი კლასის დაკვეთა ბრწყინვალეთ შეასრულა.

რით არის გოლდონი საგულისხმო საბჭოთა თეატრისათვის? ეს მეტად საინტერესო საკითხია. რუსეთში, საბჭოთა სცენაზე, გოლდონის პიესები რამდენიმეჯერ იქნა წარმოდგენილი. ყურადღება საბჭოთა სცენისა გოლდონისადმი სხვადასხვა მოტივით აიხსნება.

უპირველესად ყოვლისა, გოლდონი მეტად მიმზიდველია, როგორც დრამატურგი. იგი უდიდესი ხელოვანია სცენისა, შეუდარებელი ოსტატი სიუჟეტის და მახვილგონიერი გამომგონი მძაფრი კოლიზიების ხლართისა პიესაში; სანიმუშოა მისი ცოცხალი, ბუნებრივი დიალოგი; შინაგანი არქიტექტონიკა ნაწარმოების; კანონზომიერი თანმიმდევრობა ეპიზოდებისა.

მართალია, ხასიათების გამოკვეთის სიმძლავრით გოლდონი ვერ შეედრება ისეთ გენიოსებს, როგორც შექსპირი და მოლიერია, მაგრამ სამაგიეროდ ორივეს აღემატება თავისი სახეებისა და ტიპების მრავალფეროვნებით.

მაგრამ მთავარ ინტერესს საბჭოთა თეატრისათვის გოლდონის შემოქმედებაში მაინც მძლავრად გამოხატული სოციალური მომენტი შეიცავს.

გოლდონი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც იტალიისა და კერძოდ ვენეციის ბურჟუაზია ნელნელა ძალას იკრეფდა, ფეხზე დგებოდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ებმებოდა აბსოლუტიზმისა და ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ.

ეს იყო უდიდესი სოციალური გარდატეხის მომენტი. ახალგაზრდა ბურჟუაზიული კლასი გააფთრებულ ბრძოლას იწყებდა დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ, როგორც ეკონომიკისა და პოლიტიკის დარგში, ისე კულტურისა, მეცნიერების და ხელოვნების ფრონტზედაც. ლიტერატურისა და თეატრისაგან ბურჟუაზია მოითხოვდა თავისი იდეების პროპაგანდას. გოლდონის, როგორც ბურჟუაზიული დრამატურგის, ამოცანას შეადგენდა ახალი იდეების ქადაგება და ახალი ადამიანის ჩვენება სცენაზე. მისი პიესები, მართლაც, საუკეთესო აგიტაცია აღმოჩნდა ახალი ბურჟუაზიული იდეებისა, ამავე დროს იქ მოცემული იყო შესანიშნავი გალერეია ახალი ადამიანების, რომელიც ავტორმა დახატა საოცარის ცოდნითა და მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია გოლდონის, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობის მწერლის, კლასობრივი ტენდენციურობა. მისი სუბიექტიური განწყობილება პიესის პერსონაჟისადმი უკანასკნელის სოციალური ვინაობით განისაზღვრებოდა. ასე მაგალითად, გოლდონის პიესებში გამოყვანილი არისტოკრატები პარაზიტები, ჭორიკანები და მუქთახორებია. სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ახდენენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები: ეს ტიპები ავტორს მოცემული ჰყავს, როგორც მორალურად და ინტელექტუალურად ჯანსაღი ადამიანები, ცხოვრების ნათელი პერსპექტივებით და იმედიანი მოქავლით.

ყველა ეს დამახასიათებელი თვისებები გოლდონის შემოქმედებისა სანიმუშოა და სამაგალითო თანამედროვე საბჭოთა დრამატურგთათვის, რომელთაც უნდა გამოიყენონ ეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული სცენა კარგად იცნობდა გოლდონის შემოქმედებას. თანამედროვე ქართული საბჭოთა მაყურებლისათვის კი, სამწუხაროდ, იგი თითქმის სრულიად უცნობი ავტორია. ამ მხრივ არც რუსეთშია უკეთესი მდგომარეობა. დამახასიათებელია, რომ გოლდონის 155 კომედიიდან რუსულად მხოლოდ 12 კომედია არის თარგმნილი.

გოლდონის კომედია „სასტუმროს დიასახლისი" პირველად მიდის რუსთაველის თეატრში და საერთოდ საბჭოთა ქართულ სცენაზე. მისი შერჩევა რუსთაველის თეატრის სტუდია-სახელოსნოს აჭარულ სექციის მსმენელთა გამოსაშვებ წარმოდგენად ზემოდხსენებულ მოსაზრებებით იყო გამოწვეული, უმთავრესად იმით, რომ „სასტუმროს დიასახლისი" გოლდონის კომედიებს შორის წარმოადგენს ერთერთს სოციალურად ყველაზე უფრო გამახვილებულ პიესას.

ბევრ რამეში გოლდონი წააგავს ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის დიდ კლასიკოსებს, რომელთაც თავისი სატირის გესლი მიმართეს ფეოდალური წოდების წინააღმდეგ. განა გოლდონის მარკიზები, გრაფები და კავალრები არ მოგვაგონებენ ჩვენი კლდიაშვილის შემოდგომის აზნაურებს, ილიას თათქარიძეებს, დათიკოებს, ნინოშვილის მკლავაძეებს? განა ფაბრიციოს და მირანდოლინას პროტოტიპები მრავლად არ მოიპოვებიან ჩვენს მე-19 ს ლიტერატურასა და დრამატურგიაში? ამ მხრივ გოლდონი თითქოს ახლობელია ჩვენი თეატრისა და მაყურებლისათვის.

გარდა სოციალური მომენტისა, „სასტუმროს დიასახლისი" საინტერესოა ახალგაზრდა სტუდიელთა აქტიორული ნიჭისა და უნარის გამოვლინების თვალსაზრისითაც.

„სასტუმროს დიასახლის"-ს სდგამს ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი დ. ალექსიძე. ეს არის მისი პირველი დადგმა ქართულ სცენაზე და ვიმედოვნებთ, ეს იქნება მისი პირველი დიდი გამარჯვებაც.

(ი. გრიშაშვილის წერილის დასასრული)

პიესა თითქმის ყველა ენაზეა გადათარგმნილი და დადგმული (რუსულად მარტო ცხრა სხვადასხვა თარგმანი არსებობს), არ ყოფილა არც ერთი დიდი მსახიობი, რომელსაც ამ პიესაში თავისი ნიჭი და უნარი არ გამოეჩინა...

ჩვენს სცენაზე ამ პიესას ახალგაზრდა მსახიობები თამაშობენ. გოლდონის შემოქმედების საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ტიპები უაღრესად მომქმედი და დინამიურია. ამ ტიპების კვანძის გასახსნელად საჭიროა ან დიდი მსახიობის ტექნიკა და გამოცდილება, ან ახალგაზრდა მსახიობების ტემპერამენტი და გულწრფელობა.

მე რუსთაველის თეატრის ახალგაზრდობისათვის ორჯელ მიხდება პიესის თარგმნა. ორივე კომედიაა. პირველი ფულდას „ვირის ჩრდილი“ იყო, რომელიც კ. მარჯანიშვილის დროს დაიდგა (1926 წ. 6 აპრილი). მეორედ დღევანდელები „დიასახლისია“.



„ს ა ს ტ უ მ რ ო ს დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი“—ესკიზი.

## ჩემი სიხარული

აღფრთოვანებული და სიხარულით აღსავსეა ჩემი გული. პირველად ვასრულებ საპასუხისმგებლო როლს. ამასთანავე ერთად ვღელავ უზომოდ; დღეს გამოცდაა ჩემი და მთლიანად ახლად კურსდამთავრებულ აჭარელ სტუდიელებისა. არ შეიძლიან პირველად ყოვლისა დიდი მადლობა არ გამოუცხადო აჭარის მთავრობას, რომელმაც დროზე ყოველგვარი დახმარება გაუწია აჭარელ სტუდიელთა მუშაობას.

ამასთანავე ერთად დიდ კმაყოფილებასა და მადლობას ვუცხადებთ რუსთაველის სახ. თეატრის ახალ ხელმძღვანელობას, რომელმაც ყოველმხრივ ხელი შეგვიწყო პიესის მომზადებაში.

ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა **დ. ალექსიძემ** უდიდესი მუშაობა ჩაატარა ჩვენთან, სტუდიელებთან, ამ პიესის მომზადების დროს. აჭარელი ახალგაზრდობა მან თავისი ენერგიული შრომით დაგვაყენა მსახიობის კულტურულ გზაზე.

პირადათ მე ამხ. **ალექსიძემ**, როგორც რეჟისორმა, საშუალება მომცა მეპოვნა გასაღები ჩემი როლის (კავალერის) განსახიერებისათვის, მისმა მეგობრულმა და გულთბილმა დამოკიდებულებამ საშუალება მომცა მეტი სითამამე გამომეჩინა როლის გახსნის და მთლიანად ტიპის განსახიერების საქმეში.

მე ვუსურვებ აჭარის საბჭოთა თეატრის კოლექტივს ასეთს და უფრო მეტად გაუმჯობესებულ დადგმებს ამხ. **ალექსიძის** რეჟისორული ხელით.

ი. კობალაძე

## გუშინ და დღეს

კარლო გ ო ლ დ ო ნ ი ს კომედიის, „სასტუმროს დიასახლისი“-ს წარმოდგენა პირველად ქართულ სცენაზე წილად ხვდა აჭარელ ახალგაზრდა მსახიობებს.

ამ პიესაზე მუშაობის დროს ბევრი რამ შევიძინეთ. რეპეტიციები, რომლებიც მიჰყავდა რეჟ. დ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე ს, სრულებითაც არ ჰგავდა იმას, რაც მე ძველი ხელმძღვანელობის დროს რუსთაველის თეატრში მინახავს და განმიცდია.

ჩემი 4 წლის სასცენო გამოცდილება, მიღებული რუსთაველის თეატრში, ამ შემთხვევაში თითქმის გამოუყენებელი დამრჩე და მთელი ჩემი ყურადღება იქითკენ იყო, თუ როგორ გავნთავისუფლებულიყავი მექანიკურ მოძრაობისაგან და ნერვიულ დაჭიმულობისაგან, რომლის გავლენა ბევრ ადგილას ხაზგასმით მოსჩანს ჩემს მიერ „მარკიზ ფორლიპოპოლის“ განსახიერების დროს.

ასეთი სიხარული და პასუხისმგებლობა მუშაობისადმი, როგორც წელს, არასოდეს არ მიგრძვნია. ამ შემთხვევამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ხელმძღვანელობა, რომელიც თეატრს სათავეში უდგას, კიდევ უფრო ახალ-ახალ გამარჯვებებს მიაღწევს და იმ გულთბილ დამოკიდებულებას, რომელიც დღემდის მას ჩვენდამი ჰქონდა, საბჭოთა აჭარაში მუშაობის დროსაც არ მოგვაკლებს.

ი. კაიკაციშვილი.

## უდიდესი სიხარული

უდიდესი სიხარულით ვეგებები ჩვენი სტუდიის პირველ სპექტაკლს, რომელიც მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მომავალი მუშაობისა, რომელიც წინ მოგველის. მომავალში რუსთაველის სტუდიის აჭარელმა ახალგაზრდობამ მეტად საპასუხისმგებლო როლი უნდა შეასრულოს აჭარაში თეატრალური კულტურის განვითარების საქმისათვის, რადგან ეს ახალგაზრდობაა წარმოადგენს ძირითად კადრს აჭარელი ნაციონალური თეატრის შესაქმნელად.

ეს ამოცანა მტკიცედ უნდა აღიბეჭდოს ჩვენი კოლექტივის თვითეული წევრის გონებაში, რათა ამ შეგნებამ უფრო მეტი ენერგიით და ენტუზიაზმით წარმართოს ჩვენი მომავალი საზოგადოებრივი მუშაობა.

ნუცა ფხაკაძე

## რუსთაველის თეატრის შეხვედრა ორდენოსან ამხანაგებთან

1 აპრილს რუსთაველის თეატრში შესდგა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივისა და მუშა-მოსამსახურეების საზეიმო სხდომა—შეხვედრა თეატრის დაჯილდოვებულ ამხანაგებთან—ორდენოსან არტისტებთან: **აკაკი ვასაძესთან** და **აკაკი ხორავასთან**, ზეიმს დაესწრნენ სტუმრები, ორდენებით ახლად დაჯილდოვებული ხელოვნების მუშაკები: რესპ. დამსახურებული მსახიობი **ნატა ვაჩნაძე**, რესპ. დამს. მსახიობი **თამარ ჭავჭავაძე** და მხატვარი **ელენე ახვლედიანი**. სხდომას დაესწრო აგრეთვე ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი—რუსთაველის თეატრის დირექტორი ამხ. **ე. პ. გორდელაძე**.

ეს შეხვედრა გადაიქცა თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივისა და მუშა მოსამსახურეთა გულწრფელ ზეიმად.

ორდენოსან ამხანაგებს და აგრეთვე ორდენოსან სტუმრებს მიესალმენ თეატრის დირექციის სახელით ამხ. **მან. აფხაიძე**, შემოქმედებითი კოლექტივის სახელით მსახიობი **სტ. ჯაფარიძე**, მსახ. და მუშა-მოსამსახურე ქალთა სახელით მსახიობი **თამარ თუშიშვილი**, მუშების სახელით ამხ. **გოჩიტაშვილი**, თეატრის ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრების სახელით მხატვარი **დიმ. თავაძე**, სტუდია—სახელოსნოდან ამხ. **ე. ციცაძე**, კომკავშირის კომიტეტის სახელით ამხ. **ლობჟანიძე**.

თავისი შთაბეჭდილებები მსოფლიო პროლეტარიატის ბელადთან, დიად **სტალინთან** შეხვედრის გამო სხდომას გაუზიარეს რესპ. ორდენოსანმა სახალხო არტისტებმა: **აკაკი ვასაძემ** და **აკაკი ხორავამ**; მსახიობებმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ მათი დაჯილდოვება, ნიშნავს მთლიანად რუსთაველის თეატრის კოლექტივის დაჯილდოვებასაც, რადგან ისინი, როგორც მსახიობები და ხელოვნების მუშაკნი, აღიზარდნენ ამ კოლექტივის დახმარებით, მშობლიური რუსთაველის თეატრის წიაღში. ორდენოსანმა მსახიობებმა განაცხადეს, რომ ბელადთან და პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრას ისინი სთვლიან თავისი ცხოვრების უბედნიერეს მომენტად, რაც მათ აძლევს უდიდეს შემოქმედებით იმპულსს, მათი ნიჭი და უნარი კიდევ უფრო მეტის სარგებლობით მოახმარონ საქართველოს საბჭოთა თეატრალური კულტურის აღორძინების საქმეს.

დასასრულს რესპ. დამს. მსახიობმა **თამარ ჭავჭავაძემ** დამსწრეთა თხოვნით გაიმეორა **სტალინისადმი** მიძღვნილი **ლექსი გ. ლეონიძისა**, რომელიც მსახიობმა ბელადს წაუკითხა კრემლში.

სხდომამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა—ამხანაგ **სტალინს** ამხ. **მოლოტოვს** და ს/კ. ბოლშევიკების ხელმძღვანელს საბჭოთა საქართველოს ხელოვანთა ნამდვილ მეგობარს და მასწავლებელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას**.

პ რ ო ე ქ ტ ი

## რუსთაველის თეატრის სარეპერტუარო თემატიური გეგმა 1936—1937 წ.

**1. ახალი ადამიანის პრობლემა სტახანოვურ მოძრაობის ფონზე**

ა) ქალაქის წარმოების მასალა
ბ) საკოლმეურნეო თემატიკა
გ) ინტელიგენცია

**2. მოძმე რესპუბლიკათა დრამატურგიის სამ საუკეთესო ნიმუშის თარგმანი.**

**3. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა**

ა) კომკავშირის ცხოვრება
ბ) ახალი კადრები წარმოებასა და კოლმეურნეობაში და სხ.
გ) სტუდენტობა

**4. წითელი არმიის თემატიკა**

ა) ახალი ადამიანის აღზრდა წითელ ჯარში
ბ) თავდაცვისათვის მზადება
გ) ა ვ ი ა ც ი ა

**5. 1905 წლის თემატიკა**

ა) ს ო ფ ე ლ ი
ბ) ქალაქის წარმოების ფონზე არსენა ჯორჯიაშვილი
გ) „ტყის ძმები“
დ) რეაქციის ხანა

**6. საბავშვო რეპერტუარი**

ა) ჩვენი სკოლა და მასწავლებლობა
ბ) პიონერების ცხოვრება
გ) ქართული ფოლკლორი

**7. კლასიკური დრამატურგია**

ა) სოფოკლე „ოიდიპოს მეფე“
ბ) შექსპირი „ოტელო“

**8. საიუბილეო რეპერტუარი 1937 წლისათვის**

ა) შოთა რუსთაველი
ბ) ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი“
გ) ა. პუშკინი—„არზრუმს მოგზაურობა“

**9. სათადარიგო თემები**

## სტუდიის აჭარის სექციის საჩვენებელი წარმოდგენის პ რ ო გ რ ა მ ა

კ. გოლდონი

# სასტუმროს დიასახლისი

კომედია 3 მოქ ედებათ თარგმანი ი. გრიშაშვილის

მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი:

მირანდოლინა—(სასტუმროს დიასახლისი) . . . . ნ. ფხაკაძე
მარკიზი ფორლი პოპოლი . . ისკ. კაიკაციშვილი
გრაფი ალბაფიო რიტა . . გრ. კობახიძე
კავალერი რიპაფრატა . . . . იუს. კობახიძე
ფაბრიციო . . . . . . . . . . ზ. ლლონტი
ჰორტენზია . . . . . . . . . ნ. თეთრაძე
დეანირა . . . . . . . . . . ლ. აფხაზავა

მ ზ ა რ ე უ ლ ე ბ ი:
I-ი მ. წიგნაძე
II-ე ხ. ბაბუჩოლლი

მ ს ა ხ უ რ ნ ი:
I-ი ე. ციცაძე, ალ. სარჯველაძე—(კავალერის მსახური)
II მ. გოგიტიძე—(გრაფის მსახური
III ე. ბაკურაძე
IV ს. თურმანიძე
V ს. კახიძე
VI ა. ბოლქვაძე
IIV მ წიგნაძე
VIII ხ. ბაბუჩოლლი

დადგმა—**დ. ალექსიძის**
მხატვარი: **ს. ქობულაძე**
დირიჟორი—**მ. ბორჩხაძე**
რეჟ. თანაშემწე—**პ. ჩალიგავა**

ტიპაჟის მხატვარი—**ზ. ბაკურაძე**
კოსტუმების შესრულება მხატვარ **ს. თევზაძის** ხელმძღვანელობით.
სპექტაკლის ქორეოგრაფი **ინ. მონტი**

მხატვრ. დეკორ. **ვ. მელიქსეტოვი** **ვ. ფარემუზოვი**
ელექ. მექანიკოსი **ტ. გრიგორიაინ**
კონსტრ. მშენებელი **კ. კრავეიშვილი**

სცენის მემანქანე **ლ. აბუაშვილი**
კოსტუმიორი **ო. კობახიძე**

რეკვიზიტორი **არ. როშოიანი**
გრიმიორი **ა. ზამურელიძე**

თეატრის დირექტორი **ბ. გორდელაძე**
დირექტორის მოადგილე **გ. გუგუნავა**

სამხატვრო ნაწ. გამგე და სარეჟ. კოლეგიის თავმჯდომარე **აკ. ვასაძე** (ორდენოსანი არტისტი)
სალიტ. ნაწ. გამგე **ლ. ასათიანი**

ადმ. ტექნ. ნაწ. გამგე **პავლე კანდელაკი**. ადმინისტრატორი **ალ. შალიკიანი**

**სარედაქციო კოლეგია:** გ. გუგუნავა, აკ. ვასაძე (ორდენოსანი მსახიობი), ლ. ასათიანი

გამომცემლობა „ტეხნიკა და შრომა“-ს სტამბა. შეკვ. № 341. მთავლიტი. № ა-10370. ტირაჟი 1000.